

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43  
**კანტორა რედაქციისა:** მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

**ხელის-მოწერა:** მიიღება კანტორაში. ბარევე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. ВЪ редакцію газ. „Д р о б а“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე ორშაბათს ბარდა

**განცხადება:** მიიღება რუსულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.  
**ფასი განცხადებისა:** დიდი ანუ—  
 კბით ასოზე—2 კაპ., სხვა-მთავისუფლია  
 სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის  
 ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაშრაბთ

**რედაქციის უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამაგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

## „დროებაზე“

პირველი ივლისიდან ვიდრე 1878

წლის პირველ იანვრამდე

მიიღება თვითწილში, „დროების“ რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

**ფასი** ნახევარ წლის გაზეთისა—4 მან. და 50 კაპ.

შალაქს ბარევე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: ВЪ Типографіи. ВЪ редакцію газеты „Д р о б а“.

## ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდან

(„საქვასის“ კორრესპონდენტის)

**ფარგატი, 5 ივლისს.** ჩვენი ჯარები საცა აღრე იდგნენ, იქვე დგანან; არც ოსმალოს ჯარები ინძრევიან, ისინი ამაგრებენ შარსის არე-მარეს.

**ფარგატი, 6 ივლისს.** შმათერესი ძალა ჩვენის კორპუსისა შურუქ-ღარასა და შა-

ლდინრეარტთან არის მოგროვილი, სადაც დღეს ღენ-ადიუტ. ლორის მელიქოვიც მოვიდა. რუსეთიდან მოვიდა აქ 3 ესკადრონი დრაგუნებისა.

**ათინა, 5 ივლისს.** დეპუტატების პალატა სექტემბრამდინ არ დაიხურება. დათხონილი სალდათები და ნაციონალური გეარდია მოიხმეს. ათინის ახლომახლო პროვინციებში ხალხი ძალიან აღელვებულა.

**ლონდონი, 6 (18) ივლისს.** 49 ოსმალოს ბატალიონი ანტივარში დასვეს 22 ნომალდზე და სალონიკში გაგზავნეს.

**ბაზეთი „Daily Telegraph“** ამბობს, რომ ინგლისმა და სხვა მეროპის სახელმძიფოებმა უნდა დაუყოვნებლივ და ენერგიულად იმოქმედონ, რომ რუსეთს არ მისცენ სტამბოლის—თუნდაც დროებით—დაჭერის ნება, რადგან ამის გამო ბრიტანიის იმპერიას მამიკვდინებელი ზარალი მიეცემა.

## ოქის აზებები

აზიის ბრძოლის ველიდან

მრთს ინგლისურს გაზეთში „Daily News“-ში არზრუმიდან იწერებიან, რომ ინისის დამლევს აქ მოვიდა გემებით დიდ-ძალი ოსმალოს ჯარი ქვეითი, ცხენოსანი და არტილერიაო.

„მოსკოვის უწყებებში“ სწერდნენ ამას წინათ, რომ მცირე ბზიაში ოსმალოს უეცრად ერთი-ორად უფრო მომეტებული ჯარი გაუზნდა, ვინემ რუსებს ჰყავთო. ამ გაზეთის მოსაზრებით, ეს ჯარი ინდოეთის ჯარი უნდა იყო; თვითონ ინგლისი დაენმარა ამ შემთხვევაში ოსმალეთსაო: იმან გაავრცელა ინდოეთში ოსმალეთის პროკლამაცია რომლითაც ის ყველა მაჰმადიანთ იწვევდა რუსთან ბრძოლაში მონაწილეობის მიღებას; იმან მისცა ამ თავის სამფლობელოში მოგროვილ ინდოეთლების ჯარს ხომალდები, ჩასვა და მცირე აზიის ბრძოლის ველზე გამოგზავნაო.

## მწერლობა

ერთი მუჰა წიგნი, ათი მუჰა სულელობა, ანუ უ. მდივანოვის ანბანი


(დასასრული)

ამის შემდეგ უ. მდივანოვს თავისებურათ უსკუპნია და გადამხტარა დღისა და ღამის ახსნაზედ. მისთვის სწორეთ ზედვე მიუკერებია შექმნის ისტორია. ეს ისტორია იმ გვარათ არის ნამბობი, რომ მკვდარსაც კი ფეხებს გაათანხალდებინებს. წაიკითხეთ: „მესამე დღეს დედა-მიწაზედ მიწა და წყალი ერმანეთისაგან გაყო (რაში გაყო?)“ ანუ რომ, რომ დედა-მიწა ტალახის (დახე წმინდანობის შერცხვენასა) გუნდი იყო (გუნდიო? მუნდი ფრინველთა კრებასა ნიშნავს და ტალახის გუნდი ყოვლად შეუძლებელი საქმეა), ლმერთმა ამ ტალახისაგან სისეველე გაყო“ (კიდევ! სად ან რაში გაყო, უ. მდივანოვო, რატომ არ გვეუბნები?). მეორე ადგილას მდივანოვი პირველი დედა-კაცის შექმნაზედ ისე ლაპარაკობს, ეთომც მას მვა რქმევეოდღეს გაჩენამდის.

მაგრამ ახირებულ მასხრობას ამითი არ ათავებს: იგი იმისთანა უცნაურს რასმეს გვიამბობს, რომ მუცელი ხელით უნდა დავიჭიროთ, თორემ შენი მტერი ჩვენი საქმე იქნება. სმენა იყვეს და გაგონება. „მეწვიდე დღეს ლმერთმა აღარა გააჩინა-რა. ამ დღეს (შემდგომი დღიდგან ქმნილება ისევ დაიწყო? ასე გამოდის თქვენი სიტყვიდგანა. რომ ეს ორ ჰაზროვნობა არ გამოსულიყო, უნდა გეტქვათ: „ამ დღიდგან“ იმან მოისვენა თავისი საქმეებისაგან. ბანა თუ (?) ლმერთი დაიღალა და იმიტომ მოისვენა, არა(!), სულობით (თუ ხორცობით) არა. ლმერთს რა დალაღავს, ლმერთი დაულალავია... თითო დღეს თითო სიტყვას ამბობდა და აბა ჯერ კაცისათვის რა სიძნელეა დღეში ორი ან სამი სიტყვის თქმა, რომ დღისათვის რა სიძნელე ყოფილიყო?“ (ოლონდაც)... აკი კაცი თავის სარტყელს ზევით ვერ შეხტებო. აქ უ. მდივანოვი თავის თავზედაც მალა ახტა, ისეთი მაგარი ფილოსოფიასობა გამოიჩინა!..

ამ ღრმა ფილოსოფიიდგან ჩვენ ავტორს კიდევ უსკუპნია და გადამხტარა იმაზედ, თუ რასა ჰქვიან ცა, ქვეყანა,

ოთხი მხარე ქვეყნისა, წუთი, საათი, კვირა, თვე, წელიწადი და სხვანი. მერე მოუყვანია წელთა რიცხვი ქრისტიანეთა, ურიათა (?), მაჰმადიანთა (?) და მახედ სწორეთ ზედვე მიუკერებია გამოძიება, თუ რა ნაწილებიდგან შესდგება ადამიანი. შევლა ნაწილები ჩამოუთვლია, მაგრამ ტვინი კი დავიწყებია. ძაი საფანელი ჰკლებია, შენმა მზემ! ამის შემდეგ გაუსვამს შუა ხაზი და გადასულა იმაზედ, თუ რა არის ოკეანე და ხმელეთი. ჩამოუთვლია ხმელეთის ნაწილები და შესანიშნავი სახელმწიფონი ქვეყანაზედ. მეორეაფიაშააც დიდი ცოდნა გამოუჩინა: ორ გეოგრაფიულ სტრიქონში ორი შეცდომის მეტი არ მოსვლია: თურქესტანი და ინდოეთი ცალკე, დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოუყვანია. ბოლოს უკუღმა უხტუნია და ხელმეორეთ უკანვე გადამხტარა თავის საყვარელ საღმრთო ისტორიასთან; ეტყობა არ უკმარნია ის დაფნის გვირგვინები, რომელიც მან დაიმასურა წინა საღმრთო მოთხრობებითა. მთელი ისტორია ორ მოთხრობაში მიუქცევია. ძველი აღთქმისათვის მოწყალე თვალთ შეუხედნია და მთე-



თუ ეს მართალია, მაშ შესაძლებელია, რომ ის ჯარი, რომელიც ასე უანგარიშოთ გამოდის ტრაპიზონში და არზრუმისაკენ და შარსისაკენ მოდის, მართლა ინდოეთიდან მოსული ჯარი იყოს.

ამავე გაზეთში დაბეჭდილია ბათუმში ივნისის 24 მიღებული დეკრეტი, რომელიც გვაცნობებს, რომ ერთი ნაწილი მსმალოს ჯარისა მობლეთის (?) (მოზულეთის) მთებზე არის დაბანაკებული. ამ ჯარის სარდლად არიან მსმან და ალი-ფაშები (მადეირიძეები).

სტამბოლიდან ერთს ნემეცურს გაზეთში იწერებინან, რომ 28 ივნისს მუხთარ-ფაშამ რამდენიმე ბათალიონი თავის ჯარიდამ ბაიანეთისაკენ გაგზავნა იმ განზრახვით, რომ იქ ტერ-ლუკასოვის ჯარს შეებან და ენდვენონ მსმალეთის სამზღვრებიდამო.

რუსულია გაზეთის „Голос“-ის მოწინავე სტატიაში, სხვათა შორის შემდეგი სტრიქონებია მოყვანილი მცირე აზიაში რუსეთსა და მსმალეთს შუა ბრძოლის შესახებ:

„შესანიშნავი ენერჯია და ხასიათის სინაგრე გამოიჩინეს მსმალეთმა მცირე აზიაში. თუმცა ომის გამოცხადებისთანავე რამდენჯერმე დაიმარცხა ისინი აქ, თუმცა თვე ნახევრის განმავლობაში ამათ არსად არ გაუმარჯვნიათ და ჩვენი ჯარი თითქმის არზრუმამდ მივიდა; მაგრამ ამათ მაინც არ დაკარგეს იმედი, არ დაკარგეს მხნეობა. წერილობით ბრძოლაში და შეტაკებებში ტყუილ-უბრალოდ ხალხს არ ხოცავდნენ და უკან

იწვედნენ, რომ მთავარი ძალა თავის არმიისა შემდეგში, საცა უფრო საჭირო იქნება, იქ გამოიყენონ. არზრუმამდინ (ზაინამდინ) თავისუფლად მიუშვეს ამათ ჩვენი ჯარი და აქ კი გაუმარჯდნენ. და ახლა, ამ სტრატეგიულის ხერხის წყალობით, ჩვენი ჯარი იძულებული შეიქნა, რომ შარსს თავი დაანებოს და უკან დაიწიოს შურუქ-ლარამდინ და იქნება ალაქსანდროპოლამდინაც.

რასაკვირველია, ამ გვარი მოხერხებული მოქმედება მსმალოს ფაშებს არ მიეწერება. მაგრამ რაც უნდა იყოს, ჩვენ მხედველობაში უნდა ექონიოთ, რომ შეიძლება მსმალეობმა ბოლგარიაშიაც ასე მოიქცნენ. ამიტომაც ჩვენი აზრი ეს არის, რომ, სანამ ჩვენ იმათ ჯარს კარგათ არ დავამარცხებთ, ჩვენი ჯარისაგან იმათ მიწების დაჭერას მაინცა-და-მაინც მაგდენი მნიშვნელობა არა აქვს.“

**მვროსის ბრძოლის ველიდან**

რადგან სერბიამ ჩერნოგორიის მთავართან პირობა შექცა, რომ ერთად იბრძოლონ მსმალოსთან, ამიტომ ჩერნოგორიაში მომქმედ ალი-ფაშას ატრიადს 8,000 კაცს ბრძანება მოსვლია, რომ სერბიის სამზღვარზე დადგეს და თვალყური ექიროს სერბიის ჯარის მოძრაობაზე.

მეორე ნაწილი ჩერნოგორიაშივე მომქმედის მსმალოს არმიისა სულციმან-ფაშით, როგორც ამას წინათ იწერებოდნენ გაზეთებში, ბოლგარიაში გაუგზავნიათ ლუნაის არმიისთან შესაერთებელიდ. ამას გარდა რამდენიმე ბატალიონი აქაურივე ჯარისა მსმალოს მთავრობას სა-

ბერძნეთის სამზღვარზე გაუგზავნია, სახელდობრ მესალიაში, რადგან უნდა იქნებოდა, როგორც მოგვხსენებდა, კრეტის შორი ძრობაში არიან და, საბერძნეთის დახმარებით, მსმალეთის უღლისაგან განთავისუფლებას მოელოან.

ლუნაის მსმალოს არმიის მთავარსარდლის აბდულ-მერიმ-ფაშის მოთხოვნით, რაც სტამბოლში მსმალეთს თავისუფალი ჯარი ჰყოლია, ყველა ლუნაიზედ გაუგზავნია და აბდულ-მერიმ-ფაშა ამ ჯარს შარსში აბანაკებს.

რუსული გაზეთის („Новое Время“) სტამბოლელი კორესპონდენტი გვაცნობებს, რომ სხვა ჯარებს შორის ამ დღეებში აქედამ ლუნაიზე სულთანის საკუთარი გვარდია გაგზავნესო.

მეც კორესპონდენტი გვაცნობებს, რომ მთელს მსმალეთში ამ ქამად ახალ ჯარს აგროვებენ ლუნაიზე გასაგზავნათო. ამბობენ, რომ ექვსი კვირის განმავლობაში უკანასკნელი 140,000 კაცი იქნება მზათ, რომ ჩაჯდნენ ხომალდებში და პირ-და-პირ ლუნაისაკენ წავიდნენო.

„მოსკოვის შუყებებში“ დაბეჭდილია ლონდონიდან მიღებული დეკრეტი, რომელიც გვაცნობებს, რომ იმ ჭლოტზე, რომელიც ინგლისს ხმელთა-შუა ზღვაში ჰყავს გაგზავნილი, ჯარი არ არის ხმელეთზე გამოსაყვანათო (დესანტისთვისაო); ამ ჭლოტის დანიშნულება მხოლოდ ის არისო, რომ საბერძნეთს უფლან ყური, რომ იმან ამ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიიღოსო.

ლი რვა გვერდი უწილადებია; ახალ აღთქმას კი მეტათ გასწყრომია და უღირსებია მართო სამი გვერდი, ისიც ნაკლებად. მეორე გამბული მოთხრობა იმისთანავე ბრილიანტს წარმოგვიდგენს ერთად და შინაარსით, როგორის ნიშნები წინეთა ენახეთ. მოგვყავს მაგალითათ ზოგიერთა ფრაზები. „ამ პირველ (მეორე და შემდეგი ქმნილებანი როდისდა იყვნენ?) შემოქმედებისათვის (ეს სადაურია?) აქვსმა დღემ განვლო...“

„შემოქმედებები ხილი იმ დაკრძალულის (დაკრძალვა მოწიწებას ნიშნავს და ამიტომ მტკნარი უაზრობა გამოდის) ხისაგან, მიართვა (რა თავაზიანი და გაზდილი ცოლი ყოფილა!) ადამსა და ერთათა სქამეს...“ „ღმერთმა წარდგინა მოამზადა (მახობი ხომ არ იყო წარდგინა, რომ მომზადება ნდობდა) იმათ დასასჯელათა“... „თევზის მონადირეთაგან (გამოდის, რომ მოცუქულები თევზები ყოფილან და ნადირობა უსწავლიათ) აარჩია შრისტემ თავისი თორმეტი მოწაფე...“ „შუალი იესო, რომელსაც ძალიან უყვარდა ისინი — მართა და მარიამ — როდესაც მოვიდა ბეთანიას,

სადაც ისინი სცხოვრობდნენ, ამ დროს ლაზარე ვალაჯელი იყო და ოთხის დღის დამარხული იყო (მე მგონია, რომ თითო უ. ნათიემაც ვერ გააჩიოს გრამმატიკულად და ლოლიკურად ეს გამოხატულება)... „აიაფმა, როგორც ერთი მეშფოთარი, ხალხში არეულობის ჩამედები (არეულობა ქვა ხომ არ არის, რომ მის სადმე ჩაედება შეიძლებოდა) ამ სახედ წარუდგინა (ინ?) პილატეს, რომელიც ურჩიებს ქვეყანაში მთავრად იყო დადგენილი...“

„აღდგომის შემდეგ იესო ორმოცი დღი დადიოდა (სულ დადიოდა, არც დამჯდარა, არც დაწოლიდა, არც გაჩერებულა?) ქვეყანაზედ, მეტი ამაღლდა ზეცას და გამოგზავნა სული წმინდა, რომელიც მოვიდა (?) მოციქულებზედ.“ „მადაგებდა იესო და ასწავლიდა ხალხს ღვთის წინააღმდეგ და საწყინო ქვეყნისაგან განშორებას.“ „ბამოდის, რომ იესო ღვთის წინააღმდეგ ასწავლიდა ხალხს! ბარაკალა წმინდანო!“

თუ ქართულ ენის ცოდნაში, ადამიანურ ჰაზროვნობაში, გრამმატიკაში და ლოლიკაში მტკნარად უპირადათ გან-

ლავთ უ. მღევანოვი, სამაგიეროთ იგი როგორც კეთილი სომეხი, ანბანშიაც კი ახერხებს სომხური პატრიოტობის გამოჩენას: იგი ქართველ ბავშვებს ჩახიჩინებს, რომ სამოთხე სწორეთ შიგ შუა სომხეთში იყოვო, ნოეც სომხეთში დასახლდა წარდგინის შემდეგ და სწორეთ ნოემ ასწავნა ჩვენი ქალაქი ნახჩევანიო, რომელიც აქამომდე არსებობსო, ასეო რომაო უძველესი ქალაქი სომხებს გვეკუთვნისო.

არა, მღევანოვს რომ ეს არ ჩაედინა, განა უთმისოთ არ ვიცოდით, რომ სულიელი კაცი პატრიოტობაშიაც სულიელია.

ბოლოს უ. მღევანოვს მეოთხედ დაუბეჭდია სრული კომპლექტი ლოცვებისა ხუცური ასოებით და ამით დაუგვირგვინებია თავისი სამაგალითო წიგნი.. წიგნი არ მოიძებნება არც ერთი მოთხრობა, არც არაკი, არც ლექსი, არც ანდაზა და არც გამოცანა. რაც უნდა უსათუოთ იყოს ამ გვარ წიგნი, მისი სახსენებელიც არსად არის, და რასაც არ უნდა შეიცავდეს, მითი არის იგი სავსე და ისიც დაწერილია საარა-

# საქართველო

## დღიური

\* \* \* გამოვიდა და ისყიდება ახალი, მერვე გამოცემა **ი. ბოგებაშვილის** ქართული ანბანისა. ეს ანბანი არის დანიშნული სახლობაში სახმარებლად, რადგანაც შკოლებისათვის არსებობს მისივე უფრო ვრცელი და რთული სახელმძღვანელო „ღედა ენა“. ანბანის მეთოდი უწინდელივით, სინტეტიური, იმ განსხვავებით, რომ უფრო იდეული და მარტივი ხასიათი მიუცია მისთვის შემდგენელსა. ამ მეთოდის ღირსება, სხვათა შორის, იმაში მდგომარეობს, რომ მისი მოხმარება ყველა დედ-მამას შეუძლიან, ვინც კი გვარიანი წერა-კირხვა იცის.

პირველი საკითხავი წიგნი ხელახლათ არის შედგენილი, უწინდელზედ მეტი ვრცელია და შეიცავს რჩეულ შინაარსს „ღედა ენისასა“. საღმრთო ნაწილიც საკმაოდ ვრცელია; იგი, სხვათა შორის, შეიცავს მღაბიო განმარტებასა უფლის ღვთისა და ათი მცნებისა. ეს განმარტება შემადგენელმა, როგორც ჩვენ ვიცით, მოაქცია წიგნში თანახმად იმერეთის ხალხის მოთხოვნებისა, რომელიც ამ განმარტებაში მეტად საჭიროებს, რადგანაც ჯვარს არ სწერენ იმას, ვინც ეს განმარტება არ იცის. სივრცე წიგნისა შეადგენს სტამბის ორ თაბას ნახევარზედ მომეტებულსა და წინანდელ გამოცემაზედ თითქმის ერთი-ორად მომეტებულსა. უასი არის ერთი შაური-ისყიდება თფილისში გამომცემლის ბრიჭურო-

ვის მალაზიაში, ძუკის ხიდთანა. ვინც ასს ეგზემლიარს ნაღდ ფულზედ იყიდის, ან დაიბარებს, ეგზემლიარი დაეთმობა 9 კაპეკათ.

\* \* \* მთავარ სამართველოს უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი ლენ-მაიორი სტაროსელსკი ამ 5 ივლისს ქაჯორში გადავიდა.

\* \* \* ჩვენ შევიტყუეთ, რომ გუშინ წინ, ივლისის 6-ს, თფილისის საადგილ-მამულ-ლო ბანკში უყრიათ წილი იმ წესდების მუხლის ძალით, რომლითაც წელს მაისში ორში ერთი დირექტორი უნდა გამოასულიყო. ბამგეობიდან გამოსვლის წილი, როგორც ვეთხრეს, თ. ლ. ავალიშვილს ხვდა.

\* \* \* მფიციალურს გაზეთს „ძავეაში“ დაბეჭდილია შმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც მსაღმრთის მოსამზღვრე თფილისისა და მრეგნის ღუბერნიის უფ-ზღებში დაბანაკებულ ჯარების უფროსად დაინიშნება ლენერალ-ლეიტენანტი ლაზირევი.

\* \* \* ჩვენ მივიღეთ თელავიდან შემდეგი წერილი:

„**უ. რედაქტორო!** შმორჩილესათა გთხოვთ, რომ ამ ჩემს ორიოდ სიტყვას მისცეთ ალაგი თქვენს ჟურნალში და აგრეთვე თქვენი ორიოდ სტრიქონიც დაუშატეთ იმის დასამტკიცებლად, რასაც მე აქ ვაცხადებ:

„ზოგნი პირნი ამტკიცებენ, ვითომც თქვენის ჟურნალის კორესპონდენტი თელავიდან მე ყოყო და ვითომ ამ ჩემის კორესპონდენციით ილანძღებან

სხვა და სხვა პირნი. როგორცაც ვსცნობ ჩემს თავს, მე თუ სათქმელი ვისზედმე მქონია, დაურიდებლივ არა მისი ქონის; და თუ სტატიები გამომეწავნენ, მაშინც საგაზედ, ან ვისმეს შესახები თქვენს ჟურნალში, ჩემს გვარსაც მოვაწერდი, როგორათაც ესლა ვაწერ, რადგანც არავისი მეშინიან, ვინც უნდა ბრძანდებოდეს.

„მე ეს მიკვირს, რომ სხვის შრომას და მწერლობას მე რათ მაკისრებენ ძალის-ძალათ!

„ზოგნი პირნი აქ ცდილობენ დაჯერონ ჩემი ნაცნობნი და უცნობნი, რომ ნამდვილათ მე ვარ „ღროების“ სტატიების კორესპონდენტი.

„ამის გამო იმედი მაქვს, უ. რედაქტორო, რომ ტყუილს შეწამებას გადამარჩინო, შრომა მიიღოთ და დაარწმუნოთ ესენი, რომ თქვენის ჟურნალის კორესპონდენტი არა ვყოფილვარ და არავითარი სტატია ჩემი თქვენს ჟურნალში არ დაბეჭდილა, ამის მეტი, რომელსაც ესლა ვგზავნი.

ღვით მესხიევი

30 ივნისი, ქ. თელავი

— მასრულებთ უფ. ლ. მესხიევის კანონიერს თხოვნას და ვაცხადებთ, რომ ის თავის ღღეში არ ყოფილა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტათ და არც არავითარი იმის სტატია „ღროებაში“ არ დაბეჭდილა.

რედ.

# უცხო ქვეყნები

## საზრანეთი

საზრანეთის რესპუბლიკის უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრმა გერცოგ ფეა-

კო უტყინობით და სამაგალითო სისულელით.

როგორ მოხდა ის სამწუხარო მოვლენა, რომ ამ მტკნარმა უტყინობის და სულელობის ნაყოფმა გზა გაიკვლია ჩვენ მღაბიო ხალხში, თორმეტი წელიწადია ვრცელდება, უმანჩჯებს ენასა ქართველ ახალ მოზარდობასა და ურყენის გონებასა შვილთა და მამათა?


ამის მიზეზი პირველად თვით უ. მდივანოვის ერთი მოხერხება შეიქნა. იმას შენიშული მქონია, რომ მღაბიო ხალხში არსებობს სურვილი და მოთხოვნა საშობო საგანთა ცოდნისა; მეორე მხრით სცოდნია მას, რომ ყოველად წყალ-წალღებული ქართველი სამღდელოება ამ მოთხოვნის სრულიად არ დასდევს და არ აკმაყოფილებს, აქამდის არ შეუდგენია წიგნი, რომელიც რომ შეიცავდეს მაგალითად, სამლო ისტორიიდან საუკეთესო, რჩეულ მოთხრობათა, მღაბიო, მარტივი ენით დაწერილთა. ამ გარემოებაზედ დაუწყებია მას თავისი შემდეგი ანგარიში: თუ ჩემ ანბანში ბლომათ მოვაქცევ სამღეთო ისტორიიდან მოთხრობათა, რაც უნდა

უმზავსათ იყოს შედგენილი ჩემი წიგნი და რაც უნდა უტყინოთ იყვენ დაწერილნი თვით მოთხრობანი, წიგნი მაინც გავრცელდება ხალხში, ამიტომ რომ გონებით დამწეული ხალხი ღვარძლისაც კარგათ მიეტანება, როცა პური არსათ მოეძლევა. თხუთმეტი წლის არსებობამ მდივანოვის წიგნისამან ცხადათ დამტკიცა, რომ იგი ამ ანგარიშში მოტყუებული არ იყო.

მეორე მიზეზი ამ მვენებელი წიგნის გავრცელებისა არის ჩვენი უკულმართობა... ჩვენ აღვილად შეგვეძლო თავდაპირველათვე გამოგვეშკარებინა მისი საძაგლობა, დაგვენახებინა საზოგადოებისათვის მისი მვენებლობა, შეგვეკრა მისთვის გზა და მოგვესპო მისი არსებობა ჩვენი ხალხის სასარგებლოთ. ჩვენ ეს არ ვქენით, არ ავასრულებთ. რატომ? რა საკვირველია არა იმიტომ, რომ ეს ძნელი საქმე იყო: უკანასკნელს ჩვენგანს შეეძლო დაენიავებინა ეს წიგნი. მიზეზი სხვა იყო და არის. თუცა ჩვენ ბევრს ვყვირით ხალხის ინტერესზედ, მაგრამ ჩვენთვის იგი აქამომდე ხმიანი, ფუჭი სიტყვაა, საუბრის შესაზავებელი და არა

ნამდვილი საგანი ჭეშმარიტის ლტოლვილებისა. ხალხის ინტერესის მაგივრად ჩვენ გვაქვს გამჯდარი ძვალში და რბილში ერთ გვარი, მეტათ საძაგელი, ბაიყუშობა: ჩვენ ყოველ გვარი საძაგლობას და მვენებელ მოქმედებას ვაპატიებთ კაცსა, ნებას მივცემთ, მაგალითად უტყინობით და სულელობით საგნე წიგნით რყენას რამდენიც უნდა ჩვენი ხალხის ჭკუა-გონება, ოღონც კი ის იყოს უნიჭო, ულტოლილო, დაბალი და უჩინარი პირი. მაგრამ თუ საზოგადო ასპარეზზედ გამოვიდა სხვა გვარი ადამიანი, ჩვენ დიდის, შეუკავებელი წადილით გავილაშკრებით მის სასარგებლო ნაწარმოებზედ, დავიგძელებთ ენას, დავსწერთ უშველებელს წერილებს, ყოველ ღონის-ძიებას ვიხმაროთ, რომ გავსვაროთ ტალახში ნაწარმოებიც და მწარმოებელიც და შევუკრათ გზა. რათა? იმიტომ რომ ბაიყუშები ვართ.

პ. ტალმახვიძე



ზმა შეატყობინა ზოგიერთს დიპლომატებს, რომ მომავალი ნაციონალურ პრეზიდენტის დეპუტატების ამოსარჩევლად კენჭის-ყრა ამ წლის 23 სექტემბრისთვის იქნება მთელს საფრანგეთში ერთს დროს დანიშნული.

— ამბობენ, რომ ტიერის გამოანგარიშებით, იმ 363 დეპუტატში, რომელნიც ნაციონალური პრეზიდენტის რესპუბლიკურ პარტიას შეადგენდნენ, 20-ს გარდა ყველანი ხელ-ახლად იქნებიან არჩეულნი. ამას გარდა ტიერსა და საზოგადოთ რესპუბლიკელებს იმედი აქვთ, რომ მომავალ ნაციონალურ პრეზიდენტისათვის 40 ისეთს რესპუბლიკელს ამოირჩევენ საფრანგეთის ხალხი, რომელნიც ახლანდელ პრეზიდენტში არ იყვნენ დეპუტატითა.

მაშა სადამე, თუ ეს იმედეები შესრულდება, მაშინ, 363 დეპუტატის მაგივრად, 383 დეპუტატი ეყოლება რესპუბლიკურ პარტიას ხალხის წარმომადგენელთა პალატაში.

**ოსმალეთი**

ზრანცუზულს გაზეთებში დაბეჭდილია პეშტიდამ მიღებული დეკრეტი, რომ სტამბოლიდამ მოვიდა ამბავი, რომ მიტჩხან-ფაშას ამოკლე ხანში უეჭველად სტამბოლში დაბრუნების ნებას მისცემენო. რუსული გაზეთები ამბობენ, რომ, თუ ეს ამბავი გამართლდა, მშვიდობიანობის ჩამოგდება მაშინ ასე ადვილად აღარ უნდა მოველოდეთო, რადგან ეს კაცი ისეთი დახელოვნებული დიპლომატი არისო, რომ ეცდება ამ რუს-ოსმალის ბრძოლაში სხვა სახელმწიფოებიც (ინგლისი და შეიძლება ავსტრო-ვენგრია) გაუროსო.

**იტალია**

უსხო ქვეყნის გაზეთებში რომის პაპის პიო მეცხრის ავთომყოფობაზედ იწერებიან; ამბობენ, ეს ერთი თვეა, ისეთნაირად არის დავრდომილი, რომ ლოგინიდან არ ამდგარა და ექიმებს გადაწყვეტილი აქვთ იმის მორჩენის იმედითა.

**განსხვავებანი**

პარიჟელ ახალგაზდა ქალს ჰსურს აძლიოს უროკები ფრანცუზულის ენის გრამმატიკისა და ლაპარაკისა. მსურველს აღრესის შეტყობა შეუძლიან „ფრანგების რედაქციაში“, აგრეთვე ქოჯორში, ბელაევის სახლებში, საცა ლენერალის მორენცის ოჯახობა დგას. (4—2)

**ი ბ ე ქ დ ე შ ა ლ ე ქ ს ი**

თ. ი. ზ. ძის ჩოლაყაშვილის

გარდაცვალებაზედ

თქმული დავით შივიშვილისაგან

ამ ივლისის თვეში გამოვა სტამბილამ და გაისყიდება ქალაქის ყველა წიგნის მაღაზიებში. (3—2)

**ისპიღება**

სრული კანონი მახტანგ მეფისა, ბიორგი მეფისა, ძათალიკოზისა, აღბუღასი, ბერძმული, სომხური და ურიული (მოსესი). ლურჯ ქალაღზე დაწერილი, სუფთათ, და ყდაში არის შეკრული. შასის გაგება შეიძლება მქვთიმე ხელადის სტამბაში. (3—2)

**საქართველოს დემოკრატიული**

მხმთ მკარხიანდემი გამოცემისტრადეა განაცხადებს ამითა, რომელ თაის პრისუსტეციაშია მომავალს ივლისის 13-სა დანამზულ არის ტორგი და იმავე თვისა 15-სა პერეტოჟკა იჯარით გაცემისა გამო ორთაჟალის ბალისა, რომელიც ეკუთვნის მხმიაწინის მონასტერსა და ტფილისის ნერსისიანის სასწავლებელსა.

წვერი-მღვდელი სარქის ალაჟანიანი სეკრეტარი ბეჰმამოვი

(3—2)

მქვთიმე ხელადის სტამბაში იბეჭდება და ვალე გამოვა საქართველოს წიგნი ქართულ ენაზედ, სამსჯავრო წესდებანი 20 ნომბრის 1864 წლისა, მათივე განმარტებით, განაჩენებით მასსაციის დეპარტამენტთა მმართველობითი სენატისა, თარგმნილი ნიკოლოზ სიმონის ძის გამომკველოვის-მიერ.

(3—3)

29 იენის რკინის გზის მოსვლის დროს ნივთების გადატანაზე ვაჭალზე დაკარგულა ან მოუპარიათ შავი ყუთი, რომელშიაც სკრიპკა იყო ამას გარდა მოწმობა ღიმწაზიაში სწავლის შესრულებისა, მეტრიკული, დაბადების, მედიცინის ჯანმთელობის მოწმობაები. მინც იპოვნის თუნდა მარტო ქალაღებს, ვთხოვე მოიტანოს ავრასკის ქუჩაზე დავილოვის ქუჩასთან ახლო, კაპიტან მუკაევის ცოლის სახლში № 7, რომლისთვისაც მიიღებს საჩუქარს. აგრეთვე მისლებს საჩუქარს ისიც, ვინც მიაწავლით იმ პირს, ვისაც აქვს ეს ნივთები.

რკ. გზა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	ბირჟა	მან. კაპ	მაჟანდა	პან კაპ.
თფილისი . . .	9 21	5 18			მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		პეტერბურგი, 4 ივლის		თფილისი, 7 ივლის	
მცხეთა . . .	10 11	6 27	- 68	- 38	ჭუთაისს, შოთს . . .	1	პრთი მანეთი ღირს:		შქვ. თეთ. ზანჯისა, უთ.	1 20
ზორი . . .	11 58	9 43	2 40	1 23	ზორს, დუშეთს, სიღნაღს	50	ლონდონში 24 პენსი.	78	შქვილი წითელი . . .	1
ხაშური . . .	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდებსას, მოსკოვს	2	პარიჟში 264 სანტიმი.	81	ჭერი ფუთი . . .	70
სურამი . . .	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, პარშავას . . .	2	მსკონტი(სარგებლისფასი)	71 1/2	ბაბა. შოვენისა, ფუთი . . .	7
შვირილა . . .	5 49		5 81	3 23	ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	ბანკის ბილეთი 5%	94	— ამერიკისა, ფუთი . . .	8 50
რიონი . . .	6 47		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	მოგებიანი(პირველისესხი)	211	ბაპენტლი ბაბა ფთ.	7 80
სამტრედია . . .	7 41		7 73	4 29	ინგლისში . . . . .	3 75	მოგებიანი (მეორე სესხი)	210 50	მატელი თუშური ფთ.	6
აბ-სენაკი . . .	—	—	8 57	4 76	<b>ფოფტა</b>		ბირაოს ფურტოლები:		— თარაქამისა ფთ. . .	3 80
ფოთი . . .	9 40		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, შუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე		თფილ. სააზნ. ბანკისა.		პბრუშუმი ნუზური სტ.	2 20
შოთი . . .	9 13				კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		ხერსონის ბანკის (5 1/2%)	83	შონი, ფუთი . . .	5 50
აბ-სენაკი . . .	—	—	1 18	- 66	მსურ. — პარასკ. და ორშ. ძახეთს—		მოსკოვის (5%) . . . . .	90 50	შონის სანთელი ფუთი.	6 20
სამტრედია . . .	11 16		2 61	14	სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან:		<b>აქციები:</b>		სტეარინის სანთელი, ფ.	12
რიონი . . .	12 13		3 41	69	თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ		მდების სავაჭრო ბანკის	158	ხორცი ძროხისა, ლიტ.	72
შვირილა . . .	1 18	ღამე	3 98	2 21	დღე, კვირას გარდა. მსურგეთს—		შოთი-თფილ. რკინ. გზის		— ცხვრისა, ლიტრია . . .	72
სურამი . . .	5 12		5 33	2 96	ორშ. და პარასკ.		შვი ზღვის ცუცხ. გემების	465	სპირტი, გრადუზი . . .	12
ხაშური . . .	5 39		1 37	5 84	3 24		პაეკაზის და მერკურის . . .	203	შაქარი, ბროც. ფუთი . . .	7 80
ზორი . . .	7 5		4 87	3 64	9		პირგ. საზღვევ. საზოგ.	735 50	— ფხვნილი ფუთი . . .	7 50
მცხეთა . . .	8 50		6 59	9 8 5	4		პეტერბ. საზღვევ. საზ.	235 50	შავა გრგვლი, ფუთი . . .	25
თფილისი . . .	9 31		7 56	9 7 5	4 2		მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	9
					დაბეჭდილის (სამი მისხალი) . . .	8			მქრო 1/2 იმპერიალი . . .	7 94